

მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი №8

ქ. მარტვილი

19 მაისი 2021 წელი

სხდომა დაიწყო 13:00 სთ-ზე დამთავრდა 14:30 სთ-ზე

სხდომას ესწრებოდნენ: ალექსანდრე ახვლედიანი, ზურაბ მელიავა, რამაზ ხურცილავა, თორნიკე ჯანაშია, გიორგი გაბუნია, ლაშა ქობალია, ლევან სურმავა, ელდარ თოდუა, ბორის მიქავა, რომან ფონიავა, კობა დარჯანია, გიორგი ხორავა, ელიზბარ ახვლედიანი, დავით ბარამია, შალვა ბახია, გოგი ბასილაია, გოჩა ლაშხია, ზაზა რუხაია, ირაკლი ჯამბურია, ნატო ჯღარკავა, ზაურ ჯახუა, ავთანდილ ჯიქია, რობერტ კაკულია.

ასევე ესწრებოდნენ: მარტვილის მინიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ალექსანდრე ხურცილავა, მარტვილის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები და სხვა დაინტერესებული პირები.

საკრებულოს თავმჯდომარის, ალექსი გაბისონიას, კორონა ვირუსის პრევენციის მიზნით თვითიზოლაციაში ყოფნის გამო სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ალექსანდრე ახვლედიანი.

მოისმინეს 1: სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ახვლედიანმა დღის წესრიგის პროექტი წარმოდგენილი სახით გააცნო სხდომის მონაწილეებს და სთხოვა აზრი გამოეთქვათ დღის წესრიგთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვას: ელდარ თოდუამ განაცხადა, რომ ის ეწინააღმდეგება სხვა პროექტების დამტკიცებას სანამ წინა წლებში დაწყებული პროექტები არ დასრულდება და მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული თანხით დაფინანსებულ იქნეს დაუმთავრებელი პროექტები, რაზეც ალექსანდრე ხურცილავამ უპასუხა, რომ ასევე ეტაპობრივად მოხდება დაწყებული პროექტების დაფინანსებაც.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა საკითხის წინ გაეკლოთ რეგისტრაცია.

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგის პროექტი დასამტკიცებლად დასვა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 20 წინააღმდეგი 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 19 მაისის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

/,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 19 მაისის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 19 მაისის №17 განკარგულება სხდომის ოქმს თან ერთვის./

დღის წესრიგი:

1. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 19 მაისის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ;
/მომხსენებელი-ალექსანდრე ახვლედიანი, საკრებულოს თავმჯდომარე მ/შ, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე/

2. 2021 წელს მარტვილის მუნიციპალიტეტში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების მოწონებისა და ინიცირების შესახებ.

/მომხსენებელი-ალექსანდრე ხურცილავა, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე/

მოისმინეს 2: მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის ალექსანდრე ხურცილავას მოხსენება, „2021 წელს მარტვილის მუნიციპალიტეტში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების მოწონებისა და ინიცირების შესახებ“.

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს განუმარტა რომ, აღნიშნული საკითხი ეხებოდა, მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ხუნწისა და სოფელ ონოდის გზების სარეაბილიტაციო სამუშაოებს.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოეთქვათ.

აზრი გამოთქვას: ელდარ თოდუამ განაცხადა რომ, როგორც ზემოთ ავლიშნე ვეწინააღმდეგები აღნიშნულ საკითხის დამტკიცებას, რადგან აღნიშნულ პროექტებზე გამოყოფილი თანხის ნაწილი საკმარისია პროექტით გათვალისწინებული გზების მესამედის სარეაბილიტაციოდ და უმჯობესი იქნებოდა ეს თანხები გამოგვეყენებინა დაუსრულებელი პროექტების დასაფინანსებლად, აღნიშნულ მოსაზრებას დაეთანხმა ირაკლი ჯამბურიაც.

დაადგინეს: კენჭი ეყაროს „2021 წელს მარტვილის მუნიციპალიტეტში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების მოწონებისა და ინიცირების შესახებ“ განკარგულების პროექტს წარმოდგენილი სახით.

ამის შემდეგ საკრებულოს თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს წევრებს საკითხის წინ გაეგლოთ რეგისტრაცია.

საკრებულოს თავმჯდომარემ ალექსი გაბისონიამ აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე, კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 20, წინააღმდეგი 0.

/2021 წელს მარტვილის მუნიციპალიტეტში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების მოწონებისა და ინიცირების შესახებ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 19 მაისის განკარგულება №18 სხდომის ოქმს თან ერთვის./

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარის მ/შ:

ალექსანდრე ახვლედიანი

/საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე/